თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს

დადგენილება №7

2010 წლის 2 ივლისი

ქ.ქუთაისი

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის დებულება დანართის შესაბამისად. /თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის დებულება დადგენილებას თან ახლავს/

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 30 სექტემბრის №228 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/.

მუხლი 4

დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 5

დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში.

საკრებულოს თავმჯდომარე ა.ხვადაგიანი

დანართი

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის დებულება

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის დებულება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის /შემდგომში მერია/ სტრუქტურას, მერიის თანამდებობის პირების, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზების წესს.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მერია

მერია არის თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესრულებას.

მერია შედგება მერის, მერის მოადგილეების, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან.

3. მერი, მერის მოადგილეები, მერიის სტრუქტურული ერთეულები და ტერიტორიული ორგანოები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საკრებულოს მიერ განსაზღვრული წესით, უზრუნველყოფენ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუხლი 2. მერიის საქმიანობის საფუძველი და ძირითადი პრინციპები

1. ქალაქ ქუთაისის მერია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონებისა და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე, საკრებულოს დადგენილებებისა და განკარგულებების, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე, ამ დებულებით დადგენილი წესით.

2. მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების თანამდებობის პირები თავის საქმიანობას ახორციელებენ კანონიერების, საჯაროობის, საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მოსახლეობის წინაშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების, კანონით განსაზღვრულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მერიის სტრუქტურა

1. ქალაქ ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და ტერიტორიული ორგანოები წარმოადგენს, ცალკეული სფეროების მიხედვით, მერიის უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, ამ დებულების საფუძველზე შექმნილ ორგანოებს, რომლებიც ფინანსდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. ქალაქ ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას წარმართავენ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მერის რწმუნებულები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მერი.

4. ქალაქ ქუთაისის მერიის სტრუქტურაში შედის:

ა. ქალაქ ქუთაისის მერი;

ბ. ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილეები;

გ. ქალაქ ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულები: მერიის ადმინისტრაციული სამსახური; არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური; კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური; ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; კეთილმოწყობის სამსახური; საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; სამხედრო სამსახური; საფინანსო სამსახური; სახელმწიფო შესყიდვების სამსახური; ტრანსპორტის სამსახური; ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური;

დ. ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ორგანოები: ავტოქარხნის ტერიტორიული ორგანო; გამარჯვების ტერიტორიული ორგანო; გუმათის ტერიტორიული ორგანო; ვაკისუბნის ტერიტორიული ორგანო; კახიანოურის ტერიტორიული ორგანო; მუხნარის ტერიტორიული ორგანო; ნიკეას ტერიტორიული ორგანო; საფიჩხიის ტერიტორიული ორგანო; სულხან-საბას

ტერიტორიული ორგანო; უქიმერიონის ტერიტორიული ორგანო; ქალაქ–მუზეუმის ტერიტორიული ორგანო; ძელქვიანის ტერიტორიული ორგანო.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის სიმბოლოები

1. ქალაქ ქუთაისს აქვს საკუთარი გერბი და დროშა.
2. ქალაქ ქუთაისის სიმბოლოების გამოყენების წესს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის საკრებულო.
3. ქალაქ ქუთაისის სიმბოლოები გამოიყენება საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით.
4. ქალაქ ქუთაისის სიმბოლოები ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მერიის მუშაობის საერთო წესი

1. მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას კოორდინაციას და ორგანიზებას უწევს ქალაქის მერი.
2. მერია ანგარიშვალდებულია საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მერიის სამუშაო ენა

მერიის საქმისწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 7. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილსამყოფელი

ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილსამყოფელია: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3.

თავი II. ქალაქ ქუთაისის მერიის თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილებები

მუხლი 8. ქალაქ ქუთაისის მერიის თანამდებობის პირები

1. მერიის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს თავმჯდომარე.
2. მერიის საქმიანობას უძღვება მერი.
3. მერიის თანამდებობის პირები არიან:

ა. მერი;

ბ. მერის მოადგილეები;

გ. მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები /სამსახურების უფროსები/;

დ) მერიის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელები/მერიის რწმუნებულები/.

ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №33 – სსმV, №24, 10.09.2010 წ., მუხ.664

მუხლი 9. ქალაქ ქუთაისის მერი

1. ქალაქ ქუთაისის მერი არის ქალაქ ქუთაისის მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელიც განსაზღვრავს მერიის საქმიანობის მიმართულებებს და პასუხისმგებელია მერიისთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელებაზე.
2. მერს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით, საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე.
3. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით თანამდებობიდან გაათავისუფლოს მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მისი საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში.
4. მერის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს საკრებულო.
5. მერის თანამდებობაზე დანიშვნის, მისი უფლებამოსილებების განხორციელების, უფლებამოსილებების შეწყვეტის პირობები და წესები განისაზღვრება „ადგილობრივი

თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს დებულებითა და ამ დებულებით.

6. მერი ანგარიშვალდებულია საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 10. ქალაქ ქუთაისის მერის უფლებამოსილებები

1. ქალაქ ქუთაისის მერი:

ა. კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

ბ. შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის /დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების/ პროექტს, საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

გ. შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებებისა და გაუქმების შესახებ წინადადებებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

დ. შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე, სამართლებრივი აქტების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

ე. შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე;

ვ. შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

ზ. საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მერიის დებულების, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

თ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, მერიის სხვა თანამშრომლებს;

ი. ანაწილებს ფუნქციებს მერიის მოსამსახურეთა შორის, აძლევს დავალებებს მოადგილეებს, სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, ახორციელებს მათ სამსახურებრივ ზედამხედველობას;

კ. საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს მერიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ. საკრებულოს სამუშაო გეგმებიდან და სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას; საკრებულოს თავმჯდომარეს განსახილველად წარუდგენს მერიის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას;

მ. საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მერიის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ნ. საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს და სამართლებრივი აქტების პროექტებს თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით;

ო. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

პ. ამზადებს თვითმმართველი ერთეულის ქონებისათვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე პროექტს და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

ჟ. ახორციელებს მუნიციპალური საწარმოების საქმიანობის ზედამხედველობას და მათი ხელმძღვანელების თანამდებობებზე დანიშვნა–გათავისუფლებას;

რ. შეიმუშავებს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარსადგენად, ახორციელებს დამტკიცებული პროგრამის შესრულების კოორდინირებას;

ს. საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველწლიურ და მიმდინარე ანგარიშს.

ტ. ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯაროობის უზრუნველყოფას;

უ. (ამოღებულია);

ფ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახდენს ადგილობრივი თვითმმართ-ველობის საბინაო ფონდის შექმნისა და კომუნალური საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას;

ქ. საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი აქტების პროექტებსა და შესაბამის წინადადებებს;

ღ. (ამოღებულია);

ყ. ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ან/და თანხმობით ხელს აწერს შესაბამის ხელშეკრულებებს;

შ. მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დასრულების მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს შესაბამის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტებს, ასევე აძლევს თანხმობას იმ სამუშაოთა განხორციელებასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება მშენებლობებსა და საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებას, თუ ამ სამუშაოთა განხორციელება არ მოითხოვს მშენებლობის ნებართვის გაცემას;

ჩ. ახორციელებს შიდა საქალაქო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების ხელშეწყობას;

ც. ახორციელებს საქალაქო მნიშვნელობის განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხების ხელშეწყობას და განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის ზრუნვას;

ძ. ახდენს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის კოორდინირებას;

წ. კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ ქალაქ ქუთაისის საკრებულოსთვის წინადადებებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ჭ. ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების პარტნიორულ უფლებამოსილებებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ხ. ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ ცალკეული საკითხების შესასწავლად, დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად შესაბამისი კომისიების, საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ჯგუფების შესაქმნელად, ასევე მათი სამოქმედო დოკუმენტაციის თობაზე, ამზადებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ჯ. ახორციელებს მერიის დებულებით, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. მერი ვალდებულია, საკრებულოს თავმჯდომარეს წელიწადში ერთხელ მაინც, წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

3. მერი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ – სამართლებრივ აქტს – მერის ბრძანებას და ხელს აწერს მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სხვა დოკუმენტებს;

4. მერი წარმოადგენს მერიას და მერიის სახელით, რწმუნებების გარეშე მოქმედებს საკრებულოსთან, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე სასამართლოსთან ურთიერთობებში.

5. მერის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან მისი გადადგომის, ან გათავისუფლებისას, მერის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მერის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 11. მერის მოადგილეები

1. მერს ჰყავს ორი მოადგილე.

2. მერის მოადგილეებს, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს მერი.

3. მერის მოადგილეები მერის მიერ სამუშაოთა განაწილებისა ან/და შესაბამისი სფეროს მიხედვით კურირებენ მერიის სტრუქტურული ერთეულების მუშაობას; ხელს უწყობენ მერს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

4. ამზადებენ და მერს წარუდგენენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს დაქვემდებარებული სფეროების მიხედვით.

5. კოორდინაციას უწევენ საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის გადაწყვეტილებების შესრულებას.

6. ასრულებენ მერის ცალკეულ დავალებებს.

7. ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან მერის წინაშე.

8. ამ დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით და შემთხვევებში ასრულებენ მერის მოვალეობას.

მუხლი 12. სტრუქურული ერთეულის ხელმძღვანელი /საქალაქო სამსახურის უფროსი/

1. საქალაქო სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის უფროსს, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს ქალაქ ქუთაისის მერი.

3. სტრუქტურული ერთეულის /საქალაქო სამსახურის/ უფროსის უფლებამოსილებები განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი სტრუქურული ერთეულის დებულებით.

მუხლი 13. მერის რწმუნებული მერიის ტერიტორიულ ორგანოში

1. ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელობს მერიის რწმუნებული.

2. ტერიტორიულ ორგანოში მერის რწმუნებულს, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს ქალაქ ქუთაისის მერი.

3. მერის რწმუნებულის უფლებამოსილება განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ტერიტორიული ორგანოების დებულებით.

თავი III. სტრუქტურული ერთეული – სამსახური

მუხლი 14. სტრუქტურული ერთეული /საქალაქო სამსახური/

1. საქალაქო სამსახური არის ქალაქ ქუთაისის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილი მერიის სტრუქტურული ერთეული.

2. საქალაქო სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

3. საქალაქო სამსახურებს, მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესაბამისად, კოორდინაციას უწევს მერის ერთ-ერთი მოადგილე.

თავი IV. ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ორგანოები

მუხლი 15. ტერიტორიული ორგანოები

1. ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები განისაზღვრება საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო ტერიტორიების საზღვრების ფარგლებში.

2. ტერიტორიული ორგანოების კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით, რომელსაც დასამტკიცებლად წარადგენს ქალაქ ქუთაისის მერი.

თავი V. სამსახურისა და ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურე

მუხლი 16. საჯარო მოსამსახურეები

1. მერიის სტრუქტურულ ერთეულსა და ტერიტორიულ ორგანოში მომსახურე პირები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები.

2. სამსახურისა და ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ ქუთაისის მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. მერიის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობები განისაზღვრება “საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულების შესაბამისად მიღებული თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილებითა და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული მერიის საშტატო ნუსხის შესაბამისად.

4. მერიის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმატივების ფარგლებში მტკიცდება საკრებულოს დადგენილებით.

5. მერიის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული მერიის შესაბამისი სამსახურის და ტერიტორიული ორგანოების დებულებებით, აგრეთვე, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

თავი VI. მერიის საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 17. მერიის საქმიანობის ორგანიზება

მერიის საქმიანობის ორგანიზება განისაზღვრება “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით.